წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 30 სექტემბერი 1915 წ. № 105

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ უკვე დაიწყო მოქმედება ამა სექტემბრის 20-დან.

მისამართი: ოლგას ქუჩა, სახლი დიასამიძისა, № 4.

თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობა მიჰმართავს ტყის მეპატრონეებს, რა ფასებში შეუძლიათ ჩაგვაბარონ ადგილობრივ, ან რკინის გზის მახლობელ სადგურზე წიფლის შეშა საჟენობით, რომელიც საჭიროა ქართველ მეპურეებისათვის. შეშა უსათუოდ უნდა იყოს ხმელი. გამგეობა იწვევს აგრეთვე ადგილობრივ მეპურეებს, ვისაც სურვილი აქვთ შეშის შეძენისა, ახლავე ჩაეწერენ სიაში და დაწესებული ბე შემოიტანონ. კონტორა ღიაა დილის 11 ს. შუადღ. 3 ს.

## ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლად შევღებოთ საქალებო და სავაჟო

## ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

„კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაკეთებთ გინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქუდების სხვა განყოფილება არ გვაქვს.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

## მ. ე. ლალიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

ახლად დაარსებული საამხანაგო

## ფქვილის საწყობი „რ ა ჭ ა“

ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —7

## გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

## ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. ზორში

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

## ამერიკული ვაზი

თ. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის **ამერიკული ვაზის რქა** და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის **ფესვიანი ძირები**; აქვე იყიდება **გარეული კომშის ნერგი სამყნობად.**

შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Лагодехи, имѣніе Чіаури, завѣдывающему питомникомъ или Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву. 10—1

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

## საერთო გაჭირვების საგულისხმიერო შედეგი

რაც უფრო საგრძნობელი ხდება ომითა და მოუსავლობით მოვლინებული საქვეყნო გასაჭირი, მით უფრო მეტი თვითმოქმედება ემჩნევა ჩვენს პროვინციას. თვითმოქმედების გაღვივებას ხელს უწყობს ის გარემოებაც რომ ქართული ცენტრები, რომლებიც ავად თუ კარგად უმთავრესად თავს თბილისში იყრის, ვერ იჩენს სათანადო ფხასა და საქმიანობას და დამშეული ქვეყანა თანდათან რწმუნდება რომ ამ ცენტრებისაგან ბევრი არაგამოვა-რა. ამიტომაც მოქმედების სიმძიმის ცენტრი ჩვენს პროვინციაში გადადის, ხალხში. საკუთარი გარჯით და ოფლით თავის თავის მარჩენალი ხალხი, რომლის ნაამაგარის ნამეტნავისაგან იკვებება პირდაპირ წარმოების გარეშე მდგარი ნაწილი ქვეყნისა, სხვისი იმედით დიდ ხანს ველარ დარჩებოდა და გულზე ხელებს ველარ დაიკრეფდა. თვითარსებობის საშუალება მხსშივე მარხია და ამიტომაც უსასოობა, რაიც უფრო სჩვევია ტვინის ვარჯიშობა-ანალიზში გართულ ინტელიგენციას, ხალხის გულს ვერ დაიუფლებდა. მართლაც, გაიარა თუ არა აუცილებლად საჭირო დრომ, და ჩვენი ხალხი გამოერკვა თუ არა პირველ გაოგნებისაგან, რაშიაც გახვია იგი ბუნებისა და ადამიანის დაუნდობელმა ბოროტებამ, იგი დაუყონებლივ შეუდგა ბედის წინააღმდეგ ბრძოლას. რადგანაც უბედურება საერთო იყო და ყოველი მკვიდრი სოფლისა თანაბზგავსს მატერიულ მდგომარეობაში იქმნა ჩაყენებული, ამიტომაც ყოველგან და ყოველში ერთბაშად იფეთქა გაერთიანების იდეამ. პირველ ყოვლისა შეერთდენ რაც რამ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი არის, საცა ასეთი ორგანიზაციები არ არის იქ ყველა იმის ცდაშია რომ ისინი დაუყონებლივ შემოიღონ. საერთო ვარამის წინააღმდეგ შეკავშირებული ძალით გალაშქრების მოწყობაში ფასდაუდებელი როლი ითამაშეს წვრილი კრედიტის ამხანაგობებმა და სხვა და სხვა გვარ კოოპერატივებმა. ბოლო ხანებში ძალიან გაცხოველდა ამ ამხანაგობების კრებები მაზრა-მაზრად; ითვალისწინებენ საერთო ეკონომიურ მდგომარეობას, შიმშილობის სიგრძე-სიგანეს, ეძებენ პრაქტიკულ ღონისძიებას და საშუალებას ხალხის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი უაღრესად საგულისხმიერო მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ამ კრებებზედ: ეს გახლავთ, აგრე რომ ვსთქვათ, პსიხიოლოგიური ექსპანსივობა. თითეულ წვრილ კრედიტის ამხანაგობის წევრთა კრებაზე იბადება აზრი უთუოდ მეორეს შეუკავშირდეს რომ ერთად იბჭონ და იმსჯელონ საერთო გაჭირვების შესახებ. ამ ნიადაგზე, სამაზრო ქალაქში იმართება შეერთებული კრება იმ მაზრაში მომქმედ კოოპერატივებისა. აქ ამ საერთო ყრილობაზედ, მაზრის საერთო მდგომარეობის გათვალისწინების შემდგომ, ცხადდება მეორე მაზრასთან აუცილებელი შეკავშირების საჭიროება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზუგდიდ-სენაკის-ზესტაფონის **საკრედიტო** ამხანაგობათა კრებებს, რომლებიც ამ დღეებში მოხდა. ამ ნაირად ხალხის ინიციატივა და ალღო მოითხოვს კოოპერატივების სამაზრო კავშირს, მერე სამაზროთა შორისო ან საგუბერნიო კავშირს. უბრალო სოფლელი გასცდა თავის ეზო-კარს, თავის სოფელს, მაზრას და თვით მივიდა საგუბერნიო კავშირის დაარსების საჭიროების ეიდამდე. უბრალო სოფლელმა ქვეყანა დაინახა. ცოტა მეტი მუშაობა, ცოტა მეტი დრო და მისი შეგნება ამაღლდება საერთო ეროვნულ ორგანიზაციის საჭიროების იდეამდე. დამახასიათებელი ისაა რომ ეს შეერთება, ასეთი პსიხოლოგიური ექსპანსივობა ხდება ეკონომიურ ნიადაგზე, ეკონომიურ საჭიროების იმპულსით. ხალხი პრაქტიკია და მხოლოდ კონკრეტ საჭიროებას მიჰყვება. მაგრამ ამგვარი წმინდა ფიზიკური კონტაკტი და შეკონცენტრება, ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა ხალხისა თავის თავად გამოიწვევს და წარმოშობს ეროვნულ თანაზიარობისა, მთლიანობისა და ერთობლივობის იდეას, ეროვნულ ერთმიზნობისა და ერთ ინტერესობის იდეას. და ასე, პირველ საარსებო საკითხის გარშემო შემოკრეფილი ხალხი, ამაღლდება საერთო ეროვნულ ინტერესის შეგნებამდეც და თავის პიროვნებას არავის გაათელვინებს. თავის უფლებას იგი ღირსეულად დაიცვას.

ქართულმა საზოგადოებრივმა შეგნებამ მთელი თავისი ძალა და ენერგია უნდა იმას შეალიოს, რომ ამ ხალხის ზღვა გულიდან გადმოგორებულ მხნელ ტალღას როგორმე ფართო სამდინარო მისცეს და დაწყებული პროცესი გაერთიანებისა და შეკავშირებისა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიაყვანინოს.

ს. კ—დია.

## პოლიტიკური ანაქრონიზმი

მძიმედ და ნაღვლიანად მიდის ჩვენი ცხოვრება. მძიმე და ნაღვლიანად ისუნთქების ქართულ საზოგადოებაში. მართალია, ათასში ერთხელ გაისმის ოპტიმისტთა მანუგეშებელი ხმა, მართალია, გაზეთის ფურცლებზე ჰსურთ დაგვარწმუნონ ჩვენს საქმიანობაში, მაგრამ ის, რასაც საზოგადოდ „საქმიანობა“ ეწოდება, ის, რაც ჯანსაღ გამჭრიახობად ითვლების სიცოცხლის მოსურნე ერთა შორის, არ არის ჩვენს საზოგადოებაში, არა სჩანს და არა თუ არა სჩანს, ნიშნები, ოდნავი ყვავილებიც არ გამოულია ჯერჯერობით. თავს ნუ მოვიტყუებთ. დღევანდელ ისტორიულ მდგომარეობას რაც ყველასგან მოითხოვს ინტენსიურ და თავგანწირულ ძალღონის მოკრებას, ქართველი საზოგადოება მხოლოდ გულხელ დაკრებილი ჩაება; იგი ულონოა ისტორიულ მისიას შეგნებით ემსახუროს, ულონოა საკუთარ მეს ნამდვილი სახე დაანახვოს, ულონოა ერს ეროვნული სული ჩაჰბეროს. იგი მხოლოდ იმითია კმაყოფილი, რომ პოლიტიკურ უდარდელობით მოშვებულმა ათასში ერთხელ „პატარა ფელეტონით“ დაიკვნესოს და გულდაწყვეტით გადაჰხედოს ნაღვლის ლეჩაქით მიმობურულს ბრწყინვალე წარსულს! აბა გაისაჯეთ, თქვენ არ გჭირიათ პროჟექტორის მკვეთრი სხივები, რომ დაინახოთ თუ რაში იხატება ჩვენებური საქმიანობა: ან სრული განდგომა, სამშობლოს ინტერესების მივიწყება, ხელის დაბანვა და საზოგადოებრივ ცხოვრების ჰეგემონიის უსუსურთა ხელში გადაცემა ან და „საქმიანობა“ უნიათო, სასაცილო, რაიც პოლიტიკურ ჯირითის მეტს არას წარმოადგენს უცხო და სრულიად უსარგებლო ნიადაგზე. და აი ამ ჯირითის დროს მთავარი ყურადღება მიქცეულია იქით, რომ მეტი შურდული გაისროლონ, მოჰკლან, ვინც კი წინ გადაეღობება, არა იმიტომ, რომ იგი სასიკვდილოდ დაინახეს, არამედ იმიტომ, რომ პირველი ის მოჰხვდათ თვალში, გააწბილონ და უსაბუთოდ დაღი დაასვან შუბლზე და საზოგადოება ახარხარონ, ეს ის საზოგადოება, რომელსაც თვალისა და ყურის მეტი არა გააჩნია რა, მოკლებულია აზროვნების ჯანსაღ უნარსა! და ყველა ამის შემდეგ კრიტიკა, დაუსრულებელი და უთავბოლო კრიტიკა, კრიტიკა კრიტიკის გულისათვის, კრიტიკა უნიათო მხოლოდ დათიაშვილთა გულუბრყვილობის გულის მოსაფხანად,—აი ჩვენებური საქმიანობა, აი ჩვენებური გაღვიძება, აი, რა იშვა, რასა ვზრდით და რას ვავითარებთ! სადაა საყვირი ჯანსაღი ხმით შეარყიოს ეს მძიმე ატმოსფერა? სადაა ნათელი და გარკვეული მიზანშეწონილი მოქმედება, სადაა ერთსულოვანი ძახილი საერთო საქმისკენ, საერთო ჭირვარამის გასაძღოლად! იმ დროს, როდესაც სრული სოლიდარობა, სრული ჰარმონია დაარსდა ყველა სახელმწიფოში, ყველა ერში, ჩვენ აქ ერთმანეთის კინკლაობაში ვართ.

არა ქართველი ერი არ სცხოვრობს დღევანდელ მწვავე მომენტის სინამდვილით. მისთვის პარტიული რუტინა ყოველისფერია, პარტიული არხეოლოგია, აი მოქმედების თავი და ბოლო! პარტიული ჟინიანობა,—აი მიზანი და იდეალი ყველას მოძრაობისა! სიბრმავე სინამდვილის წინა, სიბრმავე იმ დროს, როდესაც ყოველისფერი ხელიდან გვეცლება,—აი ის პოლიტიკური ანახრონიზმი, რაიც წარმოშვა სექტანტურმა რუტინამ და ვინ იცის, რაოდენი ენერგია, რაოდენი თავგანწირულება და ძალთა შემოკრებაა საჭირო, რომ გადათელილ იქმნეს იგი, რათა ავმაღლდეთ მომენტის მიერ წარმოდგენილ დანიშნულებათა დონემდე.

დ. კასრაძე.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ბალკანეთის ამბები

როგორც სოფიაში მყოფ რუსეთის ელჩის უკანასკნელ დეპეშიდანა სჩანს, ბულგარეთში დარჩენილ რუსის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა გადაეცა ნიდერლანდის ელჩს.

როგორც ოდესიდან იუწყებიან, ბულგარეთ-ოსმალთა საზღვარზე გამზადებულია ჯარის გადასაყვანად მატარებლები.

საბერძნეთს დიპლომატები ეჭვის და უნდობლობის თვალით უცქერიან.

პარიზში დიდს მნიშვნელობას აძლევენ ს. ჰოჰენლოეს და ბრატიანუს შორის მოლაპარაკებას.

თუ რუსეთმა ვარნაში ჯარი გადმოსხა, ოსმალეთი მას თავის ლაშქარს მიაგებებს.

თან და თან ძლიერდება ომის მომხრეთა აგიტაცია რუმინეთში.

რუს. დიპლომატიურ წრეებში ირწმუნებიან: ავსტრო-გერმანთა ძალების მოგროვება ორშოვესთან და ბელგრადის ხაზთან, ნიშნავს იმ გეგმის განხორციელების დაწყებას, რომელიც შემუშავდა: სოფიასა, ბერლინსა და სტამბოლს.

გერმანო-ბულგარეთის ხელშეკრულობის ძალით, ყველა ბულგარეთის რკინის გზა გერმანთა განკარგულებაში გადადის.

ბერლინიდან მოსულ ცნობით სერბეთზე გალაშქრება უკვე დაწყებულა. გერმანელები გადასულან მდ. დუნაის და სავის ზოგიერთ ადგილას.

ავსტრო-გერმანელები სასტიკ თვალყურს ადევნებენ ბულგარეთის სამინისტროებს, განსაკუთრებით კი ფინანსიურს.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, პარასკევს მოხდება პირველი გალაშქრება ბულგარეთისა სერბეთის წინააღმდეგ.

ამბობენ აგრეთვე, ბულგარეთის მთავრობა გალაშქრებისათვის ფაქტიურს განკარგულებას მომქმედ არმიაში არ გასცემს, რადგან ბულგარეთის ჯარს გერმანელი ოფიცრები განაგებენო.

დანიიდან იტყობინებიან, ავსტრო-გერმანეთის ჯარის ფელდმარშალი მაკენზენი სერბეთის საზღვარზე დაინიშნა. ამჟამად იგი ტემეშვარში ჩამოვიდა, სადაც მისი მთავარი შტაბი იქნებაო.

ამბობენ მოკავშირე სახელმწიფოები დარდანელში მოქმედებას შეასუსტებენ და ჯარის ნაწილს მაკედონიაში გადასხამენო. მოკავშირე სახელმწიფოებს აზრად აქვთ საბერძნეთის ზოგიერთ საბრძოლველ ადგილებში 150 ათასამდე ჯარი გადასხან. განზრახული აქვთ ეს რიცხვი უფრო გაადიდონ, რადგან ამბობენ რომ ბალკანეთში გამარჯვებას თუ დამარცხებას საბოლოო გადამწყვეტი მნიშვნელობა ექმნებაო.

ბუქარესტის გაზეთებში მოთავსებულია რუმინეთის მთავრობის ნახევრად ოფიციალი ცნობა რითაც აშკარად ყოფს სურვილს რომ დროით ისარგებლოს და იარაღით ხელში გამოვიდეს. ბერლინის ოფიციალ ცნობით რუმინეთის და საბერძნეთის დამოკიდებულება თანდათან მწვავდებაო.

შვეიცარულ გაზეთების ცნობით მოკავშირეებმა ჯერ-ჯერობით გაგზავნეს სალონიკში 110,000 ჯარის კაცი, მათ შორის 50,000 ფრანგია.

„ბირჟ. ვედ.“ ბუქარესტიდან ატყობინებენ, რომ გერმანელებმა საკმაო რიცხვი ჰაეროპლანებისა გაგზავნეს ბულგარეთში.

გერმანელი საგენერალო შტაბის ოფიცრები რიცხვით 60 კაცი გადავიდნენ ბულგარეთში იქაურ ჯარის გასაწრთვნელად.

**ყველგან კანიან მუშების დაქირავება.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა ცენტრალ სამხედრო სამრეწველო კომიტეტს გადასცა ხარბინში მყოფ რუსეთის ელჩისაგან მიღებული ცნობა. მუშაობის მსვლელობის და სამხედრო-სამრეწველო ორგანიზაციების შემოწმების შესახებ.

როგორც ის იუწყება მუშების დაქირავების საქმეს აწარმოებს ბრიზენის ფირმა.

მან ურალის ქარხანას მისცა: 2,700 მუშა აბამელეკ-ლაზარევის ქარხანას 1000 მუშა, ზემო-ისეტსკისას 15,000 მუშა; კიშტიმის ქარხანაში გაგზავნეს მხოლოდ 500, სადაც საჭიროა 15,000 მუშა.

**ეპისკოპოსი ვარნავა თეატრების და კლუბების სესახებ.**

პეტროგრადიდან გასვლის წინეთ ეპ. ვარნავამ წერილით მიჰმართა ტობოლსკის გუბერნატორს.

აი რასა სწერს: ,,სანამ სხვა საკითხებს შევეხებოდეთ, საჭიროა ჩემის აზრით ყველა თეატრებს და კლუბებს რეკვიზიცია უქნათ, რადგანაც ახლა ამ საშინელ დროს ესენი სრულებით საჭირო არ არისო—ეკლესიებს და მონასტრებს მივმართოთო!

**ჩხრეკა პოლონეთში.**

პოლონეთიდან იტყობინებიან, რომ გერმანეთის მთავრობის განკარგულებით, ვარშავაში, ლოძში, პეტროვკაში და მრავალ სხვა პოლონეთის ქალაქში, შენიშნულ პირთა ოჯახებში ჩხრეკა მომხდარა, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებოდათ რუსეთის სასარგებლოდ. შენიშნული პირები დაიჭირეს და გაგზავნეს ტორნში სადაც მათ ასამართლებდნენ. მოსამართლედ იყო გერმანიაში გამოჩენილი პოლკოვნიკი ფონ-ზეილაცი, რომელიც მოითხოვდა პოლონელ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას. სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოიტანეს, და სიკვდილით დასასჯელად გამზადებული იყვნენ, როდესაც მოვიდა კომენდანტი ტორნის ადიუტანტი, რომელსაც ბერლინიდან მოჰქონდა ქაღალდი, სადაც ეწერა, რომ მეფე სიკვდილით დასჯას სცვლის და ნაცვლად თავიათ სამშობლოში დაბრუნებისა, ფეხ-შიშველა ზურგზე „რუსის ჯაშუში“-ს წარწერით ქუჩებში ჩამოატარებენ და სამუდამო ციხეს მიუსჯიან.

## უკანასკნელი ფოსტა

**ხურდა ფულის საქმე რუსეთში.**

ფინანსთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა დროებით მარკების გამოსაშვებად ხურდა ფულის ნაკლებულობის გამოისად. 1915 წ. 25 ენკ. მინისტრმა უკვე სახმარებლად გამოაშვებინა მარკები შემდეგის პირობებით: ა) სახურდავებელი მარკები ვერცხლისა და სპილენძის ხურდა ფულის თანასწორი იქნება, ბ) მარკები გამოშვებული იქმნება იმავე სახით, როგორიც შემოიღეს რომანოვთა საგვარეულო საიუბილეო დღესასწაულისთვის მარკები 20, 15, 10, 3, 2 და 1 კაპ. შესაფერი წარწერით: „სპილენძის ფულის თანასწორად მოიხმარება“; გ) კერძო პირთა მიერ სახურდავებელ მარკების მიღება განსაზღვრული იქნება, როგორც ეს ჩვეულებრივადაა მიღებული ვერცხლისა და სპილენძის ხურდა ფულის შესახებ; დ) გაფუჭებული სახურდავებელი მარკა არ მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ზედ სურათი მთლად წაშლილია, ანუ მთელი მარკის $^3/_4$ შეადგენს; ე) რაწამს საქმე ხურდა ფული მოიჭრება, ეს მარკები ნელ-ნელა გამოვა ხმარებიდან; ვ) ეს განკარგულება სისრულეში მოდის. ტელეგრაფით ხელს აწერს: ფინანსთა სამინისტროს გამგე სენატორი არ. ნიკოლენკო.

---

დიდი შეტაკება დაიწყო კრემენცის რაიონში.

---

ბულგარეთის ნავებმა დუნაიაზე რუსეთის გემი „ბელგრადი“ შეიპყრეს.

---

ავსტრეთის ოფიციალ ცნობით, სოლუნში 70 ათასი მეომარი გადაუსხავთ. ფიქრობენ ჯარის რიცხვი ასორმოცდა ათი ათასით გაადიდონ.

---

ოსმალეთში გერმანეთის ელჩმა მოითხოვა, რომ ყველა სამინისტროში თანამდებობის დაწესებულება შეუქმნან გერმანეთის მრჩევლებსაო.

## შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი.** იშხანის რაიონში, ჰოროხისა და ოლთისის შესართავთან, ოსმალებმა გამოილაშქრეს, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი**, 28 ენკ. ოფიციალი. ფრიდრიხშტადტის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე რუსთა მფრინავებმა „ილია მურომეციდან“ 75 ყუმბარა ჩამოაგდეს სოფ. ვალდჰოფში და ტაურკალნში. აღნიშნავენ, რომ ყუმბარებით მარჯვეთ ესროლილობდითო. დვინსკის ფრონტზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში რუსები მკაცრ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელებს და ზოგვრგან გაიმარჯვეს კიდეც, ასე რომ ზოგიერთხელ თვითონვე მიჰქონდათ ხოლმე იერიშები. დვინსკის ჩრდილოდასავლეთით რუსებმა იერიში მიიტანეს სოფელ გორბუნოვკაზე და იქიდან გერმანელები გამოჰრეკეს. დვინსკის შარაგზის რაიონში, მის სამხრეთ-დასავლეთით, ლაუცისა, გეიისა და გირვიშკის შუა გერმანელები გამოჰრეკეს. მათი დევნის დროს რუსებმა დაიჭირეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზი მედმურის ტბიდან ლაუცეს-გეიმამდინ. ლეიმიდან, ლეინის ტბისა და დრისვიატის ხაზზე, გუშინ შუადღიდან მოყოლებული საღამომდინ ცეცხლის ბრძოლა არ შეწყვეტილა. გერმანელმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს დვინსკსა და მახლობელ რკინისგზის სადგურს. რუსთა ცხენოსნის ერთმა რაზმამა დაიჭირა ბოგინის ტბის დასავლეთი ნაპირი. გერმანელთა ცდილობამ რომ ზემო ლიუბკით ნემანისაკენ გაელაშქრათ დელიატიჩეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მათთვის სასურველად არ გათავდა და შეჩერებულ იქმნენ. კოველ-სარნის რკინის გზის ორთავე მხარეს გერმანელთა ლაშქართან რამდენჯერმე შეჯახება მოუვიდათ რუ-

## სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში

**მეფე ვახტან VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით)**

(დასასრული, იხ. „საქართ.“ № 104).

ბ) **ყაჩაღობა**, როგორც ახდილი გატაცება სხვისი ქონებისა, ვახტანგის სამართალში არაფრით განსხვავდება მძარცველობისაგან. ბერძნულ კანონების მიხედვით ყაჩაღი ეწოდებოდა მას, ვინც ტყე-ღრეში იმალებოდა და გზად თუ მიხტომით მძარცველობდა, ხშირად ჰკლავდა კიდეც თუ კი წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ასეთი ხალხი, ნათქვამია ბერძნულ კანონების მე-37 მუხლში „სიტყვითა წმიდა გიორგი სასწაულმოქმედისათა, უნდა დაწყევლილი იქმნენ ეპისკოპოზისაგან, ხოლო მეფე მოვალეა განდევნოს იგინი თავის სამეფოდან“. იმავე კანონის ძალით მე-323 მუხლში ვიგებთ თვით ყაჩაღთა ვინაობას. „ყაჩაღი ეწოდება მას, ვინც ტყე-ღრეში იმალება, და ცხადად თუ ფარულად მძარცველობს, გამვლელ-გამომვლელს არ უსვენებს. ასეთის დაჭერისთანავე უმალ მარგილზე ჩამოაცმევენ და მის მიერ მოკლულის ანუ დაზარალებულის სასარგებლოდ ახდევინებენ სრულს სასყიდელს“. საზოგადოდ მძარცველობის დროს ვისიმე მოკვლა არაფრით არ ისჯებოდა. ამასვე ვხედავთ სომხურს კანონებში, იმ განსხვავებით, რომ მკვლელებს ეკლესიის პირითა სწყევლიან ხოლმე, რომ დამნაშავეს შესძლებოდა ფიქრი თვის საქციელზე, რათა მოენანიებინა შეცოდებანი თვისი (283 მუხ.). არც თუ აღბუღას კანონი სდებს სასჯელს ყაჩაღის მკვლელზე (მუხ. 139).

„ვინც თავზედ დაესხმის კაცს,—ნათქვამია მე-38 მუხლში,—მისსავე ბინის ახლოს, ასე რომ შინამდე ხმა მიუწვდებოდეს, მაშინ მოვალეა დამცემი დააკმაყოფილოს მთელი სახლის ღირებულებით. მონატაცის რაოდენობის შესახებ ფიცით უნდა დაამოწმონ თვით გამტაცებლებმა; მაგრამ თუ დაზარალებულიც მძარცველობდა, მაშინ ამანაც უნდა მიიღოს ფიცი“.

თუ სტუმარს გასძარცვავენ, მაშინ აზღვევინებენ სრულს სისხლს, ამის გარდა ნაძარცვს უკანვე დააბრუნებინებენ (21 მუხლი). მკვდრის გაძარცვაზე ჯარიმად დაწესებულია 12 ათასი ვერცხლი. ვინც ფიცის ქვეშ დაამტკიცებს, რომ გარდაცვალებული მისი (მძარცველის) მტერი იყო, მაშინ ახდევინებენ 500 მანეთამდე. სამღვდელო პირთა გაძარცვა ცოდვათაცოდვად ითვლება და ორმაგი ანაზღაურებაა ვალად დადებული (123 მუხლი). თუ ბატონი ,,უსამართლოდ გასძარცვავს“ სხვის გლეხს, მაშინ იგი პასუხს აგებს 12 სული გლეხით (149 მუხ.). აღბუღას კანონის ძალით ისჯება ისეთი თავდასხმაც, რომელიც უხიფათოდ გადარჩება და მძარცველნი მიზანს ვერ მიაღწევენ. ამ შემთხვევაში 135 მუხ. ძალით თავდამსხმელს 6 ათასი ვერცხლი გადაჰხდება, ხოლო მკვლელობის გამზრახველს 3 ათასი. მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ თვით თავდამსხმელთ თვითონვე ხელი აუღიათ განზრახვაზე, მაშინ არავითარი სასჯელი არ არის დაწესებული (134 მუხ.).

ვახტანგის კანონის ძალით მარტო ერთი თავდასხმისთვის სრული დაკმაყოფილებაა საჭირო. თუ სახლზე ანუ ოჯახზე თავდასხმის დროს ვისმეს მოჰკლავენ, ანუ დასჭრიან, მაშინ თავდამსხმელთ გადახდებათ ორმაგი სისხლი დაზარალების გვარისა და სისხლის მიხედვით. ხოლო თუ თვით თავდამსხმელი შემოაკვდებათ, ანუ დასჭრიან, ამაზე არავითარი სასჯელი არ არის დაწესებული (მუხლი 51). თუ მკვლელობა მოჰხდება სახლის გარედ ანუ ოჯახის გარედ, მაგრამ მაინც დაზარალებულის მამულ-დედულზე, კვლავ მთელად უნდა იქმნეს ანაზღაურებული, ამასთანავე გატაცებულიც უნდა დაბრუნებულ იქმნეს (53 მუხლი), ასეთ მძარცველისა ანუ მისი თანამოზიარის მოკვლა თავისებურად ჰფასობს. ამის გამო დაკანონებულია სისხლის ნახევარი დაკმაყოფილება. „თუ კაცი ასეთს დროს მიუხდეს,—ვკითხულობთ მე-55 მუხლში,—მამულის მოსარბევად და საავოდ, რომ ან ქორწილი, ან ნათლობა და სიხარული ჰქონდეს, ან ჭირის დღე და მწუხარება დაჰმართებოდეს და ამ დროს დამართებულმან კაცმან უწყინოს და მივიდეს და მამულში მომხდომი შემოაკვდეს სისხლის მეექვსედი დააკლონ და თუ მამულის პატრონი მოკვდეს მთელი სისხლი და მთელი სისხლის მესამედი მიხდომისათვის მისცეს“. როდესაც ასეთ მიხდომას ჩაიდენს უფროსი უმცროსზე, მაშინ ამ უკანასკნელმა უნდა დაუთმოს, „ამიტომ ბატონი და მოსამართლე იქნების, წანაღებს ხომ ისევ მოაცემინებენ და საქმეს რატომ გაიჭირვებს“. წინააღმდეგ შემთხვევაში „თუ არ დასთმო და ის მიმხდომი კაცი მოკლას, მთელი სისხლი მისცეს, ამიტომ, რომ უფროსობის პატივი არ დაუმს“... (მუხლი 56). თუ სასაფლაოზე მოხდება მკვლელობა, მკვლელს დააბრუნებინებენ წანაღებს და სამპირ ღირებულებას აზღვევინებენ ერთს სასაფლაოს შეგინებისათვის, მეორეს მკვლელობისთვის და მესამეს თავდასხმისათვის.

ქონებრივ ზარალის მიყენების უკანასკნელ სახედ ითვლება **ცეცხლის წაკიდება**. ბერძნულ კანონების ძალით ცეცხლის წამკიდებელს, თუ კი ეს განზრახ ჩაუდენია, ჯერ სცემენ და შემდეგ თვითონვე სწვავენ ცეცხლში (223 გვ.) „თუ სახლს ცეცხლი მოჰკიდებია არა განზრახ, არამედ უცაბედად, მაშინ დამნაშავეს არა სჯიან (222 მუხ.) ვინც განიზრახავს ცეცხლის წაკიდებას, მაგრამ ვერ მოახერხებს, სულ ერთია, დამნაშავედ ითვლება და სიკვდილით სჯიან, (224 მუხ.). სომხურ კანონების მიხედვით ცეცხლის მოკიდების დროს გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებანი: შორიდან მოეკიდა ცეცხლი თუ ახლოდან, მეგობრისაგან თუ მტრისგან, მცირე წლოვანია დამნაშავე თუ სრულ წლოვანი, განზრახ ჩაიდინა დანაშაული თუ უცაბედი იყო. „ვინცაო,—ნათქვამია მე-234 მუხ.,—სხვის სახლ-კარს დასწვავს და ბოროტ მოქმედების დროს დაიჭერენ, მაშინ იგი იმავე ცეცხლში დასწვან, როგორც სიკვდილის ღირსი დამნაშავე. თუ შეიბრალებენ და სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებენ, მაშინ მოსჭრან ის ხელი, რომლითაც ცეცხლი წაუკიდა, ამის გარდა მთელი წანახდენი აანაზღაურებინონ; თუ ამ მხრითაც შეიბრალებენ და ხელს არ მოსჭრიან, მაშინ სრულ ანაზღაურების გარდა გადაჰხდება განსაკუთრებული ჯარიმა; თუ სახლის გარდა დაიწვება ძნა, მაშინ გადაჰხდეს ორმაგი ფასი, ამასთანავე მხედველობაში უნდა ჰქონდეთ თვით დამნაშავის მდგომარეობა“. აღბუღას კანონებში ცეცხლის წაკიდება განხილულია როგორც ღვარძლიანობისა ანუ შურის შედეგი. ვინცაო, ნათქვამია მე-189 მუხ., შურით ანუ სისხლის დასაკმაყოფილებლად, ანუ ვალის გასასტუმრებლად გასძარცვავს საყდარს, ანუ ცხადად თუ ფარულად გადასწვავს მას, მაშინ გახდეს იგი სასტიკი დევნისა და წყევლა-კრულვის საგანი. ამის გარდა, გარდაიხდევინოს ორმაგი სასყიდელი ეკლესიის დასაკმაყოფილებლად, ხოლო წარნატაცი უკლებლივ დააბრუნებინონ“. საზოგადოდ ცეცხლის მოკიდებისთვის კი დამნაშავეს სწყევლიან და აჩვენებენ ეკლესიის პირით და ახდევინებენ წანახდს. (171 მუხ.). ძალით ეკლესიის დაწვაზე ჰხდებათ 32 ათასი ვერცხლი, რა თქმა უნდა, დამნაშავეს შეაჩვენებენ კიდეც. ვახტანგის კანონის ძალით ვინც უმიზეზოდ ცეცხლს წაუკიდებს სახლს, როდესაც პატრონის ოჯახი შინ არის, მას მოეთხოვება სრული დაკმაყოფილება სისხლზე და მთელი წანახდის ანაზღაურებაც დაატყდება კისერზე. თუ სახლის პატრონს მისი სისხლი ემართა ანუ მოვალე იყო, მაშინ მსაჯულნი უმსუბუქებენ სასჯელს, განიხილავენ საქმეს და ანგარიშს მოაწყობენ მათს შორის. (მუხ. 191). თუ განზრახ არ ყოფილა, მაშინ დამნაშავეს მხოლოდ წანახდს აანაზღაურებინებენ (მუხლი 192).

**დანაშაული ოჯახის წინააღმდეგ.**

ვახტანგის კანონი გაიხსენებს რა ღვთიურ დადგენილებას მშობლების საპატივისცემოდ, განიხილავს შვილის მიერ მამის მოკვლას, ანუ მამისაგან შვილის მოკვლას და მოითხოვს სრულს სისხლს, ვინაიდან „ასეთი დანაშაული სასულიერო სამსჯავროს უნდა გადაეცესო“ (78 მუხ.). შვილებს არ შეუძლიანო ბუნების წინაშე ამხედრება, რომ მამა მოჰკლან, ნათქვამია გიორგის კანონების მე-15 მუხლში. მაგრამ თუ მაზე ღმერთი გაწყრა და ასეთ საზარელ საქმეს ჩაიდენს, მაშინ იგი დაიმსახურებს ყოველგვარს უბედურებას: სიკვდილით დასჯას, სამშობლოდან სამარადისო განდევნას, საგვარეულოს აღმოფხვრას და განადგურებას. „ასეთის დანაშაულისთვის ჩვენ არ გაგვიჩენია სხვა რამ გარდასახადი, ვინაიდან ეს უკადრისობა იქნებოდა, ამის გარდა სხვებსაც ცდუნების გზაზე დავაყენებდით და მეორეც ასეთი შემთხვევა აღარ გვხვდება დღეს ნურმცა ჰქნას ღმერთმა მოხდეს იგი!“ თუ მამა შვილსა სცემს, ანუ რაიმე წყენას მიაყენებს, შვილს არა აქვს უფლება დაკმაყოფილება მოითხოვოს, ვინაიდან, ნათქვამია ვახტანგის კანონების მე-78 მუხლში, მამა შვილს ასე ექცევა ან მის გასასწორებლად ანუ იმიტომ, რომ არ გაუგონია მისი სიტყვა. თუ შვილი მამასა სცემს ანუ შეურაცყოფას მიაყენებს, მაშინ მას სჯიან, მით უმეტეს, რომ ათი მცნება გვიბრძანებს მშობლების პატივისცემას“.

აღბუღას კანონის ძალით მამას სრული უფლება აქვს შვილს სურვილისაებრ მოექცეს და მის საქციელს წინ ვერავინ გადაეღობება, (59 მუხ.), თუმცა იმავე მუხლში შენიშვნაა, რომ მამამ ერთი იმიტომ არ უნდა დასაჯოს, თუ მეორე მეტად უყვარსო.

კათალიკოზის კანონები მამის მკვლელობისთვის დამნაშავეს ხელს სჭრიან და სამშობლოდან აძევებენ...

**პ. კიზირია.**

, განსაკუთრებით მდ. სტირთან. ის არტილერიამ დიდი ზარალი ენა მტერს. სასტიკი ბრძოლაა ს. სთან, სტირის მარცხენა ნაპირზე, კოლკის ქვემოდ, სალამოთი ეს ლა დამთავრდა რუსების გამარ-ით, ამათ დაიჭირეს მოწინაალმდე-თხრილების მესამე წყება. დაბა ის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუ-ჯარებმა არტილერიის შემწეობით ირეს სოფ. ჩერნიში, სულიშჩე და ოდი თუმცა მეტად უმნიშვნელო ლი მოუვიდათ. სოფ. მოშანიცთან და სილნოხან, დერაჟნოს დასავლეთით, მტერმა 8 ჯერ კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ ყოველთვის მოგერიებულ იქნა.

ნიში, 26 ენკ. „პრეს ბიურო“ იუწ- „ჩვენმა ჯარებმა უარი სთქვეს ბელგრადის დაცვაზე და ქალაქის გარეთა პოზიციებზე გადავიდნენ, რათა ქალაქს თავიდან ააცილონ მტრის მძიმე არტილერიის ცეცხლი. ბელგრადის აღებით მტერს არაფერი შესძენია ისეთი, რაიც სამხედრო თვალსაზრისით რაიმე საგულისხმიერო ყოფილიყოს.

# ახალი ამბავი

ქალაქის თვითმართველობის ოპე-ები. თბილისის ქალაქის გამგეობას ინარე წლის 5 სექტემბრამდე უყი-სულ 740 ვაგონი ფქვილი, რომე-მოტანიანად დამჯდარა 1.554.000 შაქარი უყიდნია 36.735 ფუთი და ირ., რომელიც დამჯდარა 265.392 04 კაპ. ხსენებულ საქონლის გაყი-შემდეგ წმინდა მოგება დარჩე-ქალაქს 18.710 მან. 42 კაპ. მთელი აციის საწარმოვო თანხად ჰქონდა ობას საბჭოს მიერ გადადებული 000 მანეთი.

დამშეულთა სასარგებლოდ. „ახა-კლუბის“ ადმინისტრაციამ გადასწყ-, 4 ოქტომბერს გამართოს კლუბის ხული ბაღში დიდი სახალხო სეირ-. წმინდა შემოსავალი სეირნობისა ეცემა ქართულ საქველმოქმედო სა-დოებას წყალდიდობისა და მოუსავ-ისაგან დაზარალებულ სოფლების რგებლოდ. კლუბის ადმინისტრაცია მზადებაშია.

ნიხრის გადასინჯვა. ხუთშაბათს, ქტომბერს, ქალაქის სამეურნეო კო-გადასინჯავს სხვადასხვა სანოვაგე-აწესებულ ნიხრს.

სოფლელთა საყურადღებოდ. გო-სინდიკატის საწყობში სათესლე ხო-ლი არ მოიპოება.

ქართულ საქველმოქმედო საზო-ოების განყოფილება გაიხსნა სოხუმ-განყოფილების გამგეობა არჩეულია, ლშიაც შედიან თავ. ნ. ყ. თავდგი-(თავმჯდომარე), გ. ა. მახარაძე, გეგელაშვილი, ა. ლ. გრიგოლია, პ. ლ. გელოვანი, ნ. ლ. გეგელაშვი-ა. ი. ჯუღელი; მათი კანდიდატები— ქყონია, კ. ი. ანუა და ი. ლ. ერ-იშვილი.

პოლიტეხნიკუმი თბილისში. გუ-29 სექტემბერს, ქალაქის გამგეობამ დგინა კავკასიის სამოსწავლო ოლ-მზრუნველს 21 სექტემბრის დადგე-ება ქალაქის საბჭოსი შესახებ იმისა, თუ თბილისში ვარშავის პოლიტეხ-მი იქნება გადმოტანილი, იმის პირ-საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ათას მანეთს გადადებს ქალაქი. ეს ები ბ-ნმა მზრუნველმა უნდა წარუ-ნოს მეფის ნაცვალს, დიდს მთავარს ლოზ ნიკოლოზის ძეს.

ხოლერა. 28 და 29 სექტემბერს ქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლე-ი 2 და ხოლერის ნიშნებით 1 კა-გარდაიცვალა ხოლერიანი 2 კაცი. ნ, 29 სექტემბერს, ლაზარეთში იმ-ებოდნენ ხოლერიანი 121 და ხოლე-ნიშნებით 6 კაცი.

გადამდები სენი. გუშინ 29 სექ-ბერს, ქალაქის საავადმყოფოში იმ-ებოდნენ: ქუნთრუშიანი 53, შავი ლიანი 50, საოფლიანი 31, ხუნაგია-კაცი.

სურსათი. თბილისში მოტანილია: ლი 4 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ქერი გ., ხილი 3 ვაგ, ქატო 6 ვაგ., მა-2 ვაგ., კართოფილი 2 ვაგ., ჩაი ფუთი, ბრინჯი 151 ფუთი, ოო 108 ფუთი, კომბოსტო 468 ფუ-შავე კიტრი 232 ფუთი, ქონი 317 ი.

მცხეთობა. ხვალ, დღესასწაულზე სწრებლად მრავალი წარჩინებული მიემგზავრება მცხეთას. სხვათა ის მიდიან ქართლ-კახეთის თავად-ურთა წინამძღოლნი თავიანთი სახ-ით.

დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის-ი. თბილისის ლაზარეთებში იმყო-ან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: ია ივანე ბესარიონის ძე, ტაბახა-ი ივანე ბესარიონის ძე, პოპაშვილი ემ ალავ., შმიკარიანი ყარამან, ადია-ალექსანდრე ბესარიონის ძე, საგი-ნაძე ლევარსი ივანეს ძე, მამასახლისოვი ერასტი ლაზარეს ძე, ერაძე არსენ მაქსიმეს ძე, მელაძე მიხაკო, გაგუა სევერიანე პორფირეს ძე, გურაშვილი თედორე ისაკის ძე, პაპალაშვილი მოსე გიორგის ძე, ბექვაშვილი ილიკო პეტრეს ძე, კვახაჩელიძე ნიკიფორე, ბედიაშვილი გიორგი სოსიკოს ძე, უსუბლადიშვილი ალექსი ივანეს ძე, ჩეჩვაძე დიმიტრი გიორგის ძე, ჯვარიძე სერგო მოსეს ძე, წერეთელი კოსტანტინე სარდიონის ძე, ჩიქოვანი ისიდორე გიორგის ძე, ხვადაგიანი ისაკი გიორგის ძე, ხოსაია იასონი, მოდბაძე ბიკტორი, შავერდაშვილი ივანე, გურგენაშვილი არტემი ზაქარიას ძე, სესიბაძე ლადიკო ზაქარიას ძე, ჯილია გიგო, გულავა გიგო მაქსიმეს ძე, ესმიშვილი ერასტი გიორგის ძე, შონია გუსტავი კოსტანტინეს ძე, ბაცაძე მოსე ასალოს ძე, დონაძე კოსტანტინე, დავლაშერიძე ლევან შიოს ძე, გაბიტაშვილი გიორგი ლევ., სუგუბაია ვასილი, შამუგია ლავრენტი, ქარჩავა მელიტონ, შენგელია გიგო ალექსანდრეს ძე, კვანტალიანი ნოე პავლეს ძე, მიმინაშვილი ე. გიორგის ძე, აიცურაძე ისაკი ზაქროს ძე, ლომიძე ლეონტი დიმიტრის ძე, ჩავა სიმონ ერასტოს ძე, გოპიხაშვილი სიმონ, ზედგინიძე გიგო, ბრეგვაძე ლეონტი, ლომიძე გიორგი, გოგილაშვილი პავლე ალექსის ძე, ტაბატაძე გიორგი ალფესის ძე, კიკაშვილი ალექსი, გედეპიძე სპირდონ ბეჟანის ძე, კანდელაკი გიორგი ზაქროს ძე (პრაპორშჩიკი), მიროტაძე ბაგრატ ზურაბის ძე, არაენაშვილი გიორგი ბესარიონის ძე, კუტალია ვასილი, ოგაძე აბრამ ივანეს ძე, ნაცვალოვი გიორგი აბრამის ძე (პოდპორუჩიკი), არჩიბაძე მიშა, ლაპიაშვილი პავლე ომარაშვილი სერგო, პაატაშვილი ზაქრო, უსენაშვილი სარდიონ ივანეს ძე.

**სასამართლო.**

28 სექტემბერს საინტერესო საქმე გაარჩია თბილისის ოლქის სასამართლომ. თბილისში ცხოვრობდა შეძლებული კაცი, ტომით ბერძენი, აპოსტოლე კუნდუროვი. იმას ჰყავდა ცოლად ნინო, რომელთანაც 10 შვილი შეეძინა. რამდენიმე ათეული წლის ერთად ცხოვრების შემდეგ, აპოსტოლემ გაიძულია ცოლი და თვის სახლიდან გააგდო დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გაჭირვებულ ცოლს დაუნიშნა მან სარჩოდ თვიურად 70 მან. და ამასვანავე შუამდგომლობა აღძრა ცოლთან განქორწილების შესახებ, მაგრამ ასეთ შუამდგომლობას თითონვე თავი დაანება. ნინოს შვიდი თუმანი არ ჰყოფნიდა სარჩოდ და ქმარს სასამართლოს საშუალებით 300 მანეთი მოსთხოვა თვიურად. გაჯავრებულმა აპოსტოლემ მთელი თავისი ქონება შვილების სახელობაზე დაამტკიცა და ცოლს წინანდელი 70 მანეთის ძლევაც მოუსპო. ამ დავის დროს აპოსტოლე კუნდუროვი ვიღაცამ მოჰკლა. დარჩა ნინო კუნდუროვისა ყოვლად უმწეოდ. შვილები ახლოც არ იკარებდნენ. მაშინ ის იძულებული გახდა სასამართლოსოვის მიემართნა და ეთხოვა თითო შვილისაგან 50 მ. თვიურად. სასამართლომ თხოვნა დააკმაყოფილა და გარდა ამისა მომჩივნის შვილს—თედორე კუნდუროვს 7 დღის ციხე გადაუწყვიტა. ნინო კუნდუროვის ინტერესს იცავდნენ სასამართლოში ნაფიცი ვექილი ბ-ნი ანდრონიკაშვილი და ნაფ. ვექ. თანაშემწე ბ-ნი აუშტროვი.

# ჩვენი სოფელი

მიმდინარე ყოველდღიურ ცხოვრებიდან ამოკრეფილი პატარა ცნობები ცხად ჰყოფენ, რომ ჩვენი ხალხი დიდ სულიერ ამოძრავების ხანაში იმყოფება. ჩვენს სოფელს შეუგნია აწინდელი ვითარება და ნათლად წარმოუდგენია მომდგარი განსაცდელი. რაზომც მწვავეა გასაჭირი და

# ჰაინეს ლექსები

ხალხი ცრუა, ხალხი ბრმაა!
ნურაფერი გჯერა მათი!
იცი, შენზე რას ამბობენ?—
ცუდი აქვსო ხასიათი!

ხალხი ცრუა, ხალხი ბრმაა!
ვერ გიცნობენ, ყველა სჩმახავს;
არ უწყიან, შენი კოცნა
რა სიამით ჩემს გულს სდაგავს!

* * *

არ გიყვარვარ! არ გიყვარვარ!
ეს მე ნაკლებ გულს მიწყლულებს;
ნახვა შენი, თვალში ჭვრეტა,
მეფედ ქცეულს მასულდგმულებს!

გძულვარ! გძულვარ! ბაგე მამცნობს.
გსურს, ლამაზო, განმეშორო;
შენ იჯავრე, ღონდ მომეც,
მაგ შენს ბაგეს ვეამბორო!

* * *

ფიცს ნუ მაძლევ, მკოცნე მხოლოდ!
ქალის ფიცი არ მრწამს ფრთხილი;
თუმც ტკბილია შენი სიტყვა,
კოცნა უფრო არის ტკბილი!

ამიტომაც მას ვენდობი,
შევირგებ და კიდეც მჯერა;
ხოლო სიტყვას მე რას ვაქნევ,
ბოლია და ცრუ რამ ბგერა!

—

ო, მიჯნურო, შემომფიცე!
მარტო სიტყვას ვერწმუნები;
მკერკდს ვეყრდნობი და ვნეტარებ,
შენის კოცნის ცეცხლით ვდნები;
მრწამს, მიჯნურო, სამუდამოდ,
საუკუნოდ გეყვარები!

**სანდრო შანშიაშვილი.**

ხალხიც განუზომლად ამუშავებს თავისს ძალას. აღელდა ზღვა ცხოვრებისა და ამოდუღულმა ამოიტანა მაღლა ყველაფერი, რაც კი ერის სულის სიღრმეში დალექილიყო. მჭიდროდ კავშირდება ქვეყანა. მეზობელი მეზობელს, სოფელი სოფელს, კუთხე კუთხეს და მხარე მხარეს ეხმაურება, ნუგეშს აძლევს, სევდას უქარვებს, ამხნევებს უბედურობაში. ხელს, მშველელს ხელს, ძმურად უწვდიან ერთმანეთს. ის, რაც ერთმანეთში არ მოეპოვებათ, იმას საერთო ძალით უცხოეთში შოულობენ. ყოველ დღე მოდის ცნობა ახალ საზოგადოებათა და ამხანაგობათა დაარსებისა ფართოდ და საყოველთაოდ აბამს თავის მხსნელს ქსელს კოოპერაციის, ქვეყანამ შეიგნო, რომ ძალა ერთობაშია. წმინდა მცნებას ერის ამაღლებისას თავისი მსახური მოგვნი ჰყავს. ერთი მხრიდამ მეორე მხრისაკენ მიდიან მისი მოციქულნი და ამცნობენ ამაღლებას. ძალასა ჰკრეფენ ერის შესაერთებლად, უბედურობის დასათრგუნად და მით შვების მოსაპოვად. ლუკაშვილები მარტონი არ არიან. ერს მრავლად ჰყავს მათგვარი მომუშავენი, დღემდის უცნობნი, მაგრამ დღეს კი დიდ საქმეში დიდი კაცის ადგილის მქონენი-

ამოძრავებულია ხალხი და ამ მოძრაობაში ნათლათ ისმის მისი იმედი, აზრი მისი ცხოვრებისა, საგანი მისი სიყვარულისა, დაუშრეტელი წყურვილი სიცოცხლისა, ხან გამოშვებით, დიდს ეროვნულ დღესასწაულის დროს უყივის იგი ამაზედ ერთი ერთმანეთს, მძაფრათ სცემს ეროვნული ბუკი.

ეროვნულ მაძიებლობის დღეს, ერის აღორძინების დიდ წინასწარმეტყველთა, აკაკის, და ვაჟას, დღეს ნათლად ისმოდა ერის ძახილი: ცხოვრება სამშობლო ბედნიერებისათვის, ბრძოლა მის კეთილდღეობისათვის! ლაშქართ გასულნი, შინ დარჩენილნი, ყველა შეერთდა ამ გრძნობით გატაცებული.

გადიშალა ის, რაც იყო შინაარსი და მასაზრდოვებელი ძალა ჩვენი ხანგრძლივი წარსულისა და რაც უნდა იყოს აზრი და საგანი ჩვენი მომავლისა. სიცოცხლე ერისა და მამულისათვის.

* * *

დიდად აღელდა ცხოვრება, მთლად გადმოიშალა, გამოჩნდენ საუკუნენი წარსულნი და შიგ ჩვენი ხვედრი თავისი სახით, მოწამებრივი საქართველო თავისი ტრაღედიით. აჭარელთა გასამართლება აშკარა მოწმეა მთელი ჩვენი ხვედრისა. ჩვენ ბედმა ისეთ ალაგას გვარგუნა სამშობლო კერის დადება, რომ დარაჯნი ვიყავით ევროპიელ ხალხებისა.

უთვალავ ურდოთა ყოველისფერის მმუსრავი შემოსევა ჩვენ ჩავანელეთ, არა ერთი და ორი სრულიად ჩავაქრეთ ჩვენის მკერდით და მით ბევრი ევროპიელი ხალხი განსაცდელისაგან დავიხსენით, ბევრს მივეცით საშუალება მშვიდობიანად ცხოვრებისა და განვითარებისა. ჩვენ ვდარაჯობდით ევროპას მის მშვიდობიან შემოქმედებაში მმუსრავ აზიისაგან.

ჩვენ შევიმოძმეთ სრულის უფლებით ბევრი გადმოხვეწილი, ვუთხარით მათ სიტყვა ნუგეშისა, მივეცით მათ ხელი მშველელისა.

ჩვენ გავუკაფეთ გზა დიდს რუსეთს აზიისაკენ.

აი ეს არის შეუწყვეტელი ხაზი ჩვენი ისტორიული წარსულისა. სამსახური, მუდმივი სამსახური სხვისა.

აჭარელთა საქმემაც ეს დაამტკიცა. მათ შეისხეს იარაღი და მეზობელთ, ვისთანაც იქნებ ცნობაც არა ჰქონდათ, ვაჟკაცური დახმარება გაუწიეს, დაიცვეს გაოხრებისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მიწა-წყალზე არიან შემოხვეწილნი, იმიტომ რომ ეს ჩვენი ისტორიული თვისებაა, ერის ხასიათი.

ფინალი ერთი და იგივეა.

ვინ დაგვიფასა ჩვენი სამსახური წარსულში, ვინ დაგვიფასა ახლო საუკუნეში, ვინ გვიფასებს დღეს, ვინ დაგვიფასებს მომავალში?

ასე ჩვენსავით მოუვიდათ ჩვენ ისტორიულ მისიონერთაც, საყვარელ ძმათა აჭარლებს.

მათ მიიღეს ის ჯილდო და პასუხი, რა ჯილდოსაც, რა პასუხსაც ჩვენ ვიღებდით და ვიღებთ.

რა ვუყოთ, საქართველოს ბევრი შეუწირავს, ამასაც დასთმობს!

ერთია მანუგეშებელი—ჩვენში ყოფილა სურვილი ბედნიერი მომავლისა, უნარი და ძალა მისი მოპოებისათვის და ველირსებით კიდეც მას.

შენარჩუნებული ისტორიული სახე ერისა სრული თავდებია ამისი.

**შ. ივერი.**

# პროვინციის ქრონიკა

**ქ უ თ ა ი ს ი.**

27 ენკენისთვეს თავად დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით მოხდა თავადაზნაურთა ყრილობა, სახ. საბჭოში ამრჩევლად კრებამ ხმის უმეტესობით აირჩია თ. დ. ნიჟარაძე დ. თ. იასონ ვ. აფაქიძე.

**ბ ა თ ო მ ი.**

გამოცხადებულია კომენდანტის ბრძანება, რომელიც სხვათა შორის უკრძალავს ხალხს ღამის 12 საათ. დილის 3 საათამდე ქუჩაში სიარულს, ქუჩაში სიარული შეუძლიანთ, მხოლოდ განსაკუთრებულ მთავრობის მოსამსახურე პირთ.

— ნება დართულია „კახეთი“ ს საზოგადოების ღვინის გაყიდვა, მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვით და განსაზღვრულ წესით.

**დ. ხ ო ნ ი** (იმერეთი).

ამ მოკლე ხანში აპირებენ ხონის 6 კლასიანი პროგიმნაზია სრულ გიმნაზიად გადააკეთონ.

**დიდი-ჯიხაიში** (იმერეთი).

მოსავალი მეტად უნუგეშოა, ცუდმა ამინდებმა ნიგოზი (კაკალი) და თხილი მთლად გააფუჭა. ახლად გახსნილი პირველ დაწყებით უმაღლეს სკოლას ბევრი მთხოვნელი უჩნდება, მიუხედავად დღევანდელ ათასგვარ დაბრკოლება-გაჭირვებისა, მცხოვრებნი უკანასკნელ წვლილს იღებენ შვილების აღსაზრდელად უსურვებთ, რომ ხსენებულ სასწავლებელში მალე გაეხსნათ განზრახული სპეციალი განყოფილება, რომელიც სოფელს დიდს სარგებლობას მოუტანს.

**ს. ალავერდი** (სამეგრელო).

აუწერელ გაჭირვებას იტყობინებიან: მოსავალი სრულიად წამხდარა, ხალხი ფართე დახმარებას საჭიროებს.

**სოფ. ქვიშეთი** (მთიულეთი).

ამ ჩამორჩენილ მხრიდან დიდად სასიამოვნო ამბავს გვაუწყებენ იქ განუძრახავთ პირველდაწყებითი უმაღლეს ოთხ-კლასიან სასწავლებლის დაარსება.

**სოფ. ენისელი** (თელავის მაზრა).

გზად მიმავალს [illegible] ლალოვს თავს დაესხნენ [illegible] ვერავინ შეიპყრეს.

**ო ზ უ რ გ ე თ ი.**

ადგილობრივ მცხოვრებს ლ. ბურჭულაძეს საკრედიტო ამხანაგობიდან 200 მ. ესესხნა, სახლში დაბრუნებისას ს. ნატანების ხიდთან მას დახვედრიან ბოროტგამზრახველები და ფული წაურთმევიათ. ნეტავ ბოლო როდის მოეღება ასეთ უგვანო საქციელს?

**რუსთა დასახლება.**

როგორც „კავკ. სლ.“ გადმოგვცემს, ოზურგეთის მახლობლად დასახლებულან 120 რუსი, რომელნიც დღემდე ოსმალეთში სცხოვრობდნენ და უკანასკნელ ამბების შემდეგ იქაურობა დასტოვეს. ახლად დასახლებულთ თავიანთი სოფლისთვის სახელად „ვოსკრესენსკოე“ დაურქმევიათ.

——

**ანენფელდიდან** (ელიზავეტპოლის გუბერნია) იწერებიან: იქ ვენახები სულ ერთიანად გაფუჭებულა, ღვინის მოსავალზე ლაპარაკიც ზედმეტია.

# ქალაქის საბჭო

28 სექტემბერს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა მოხსენება წარუდგინა კრებას მეფის ნაცვლის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თბილისში მობრძანებისა და ქალაქის თვითმართველობის წევრთა წარდგომის შესახებ მისი უმაღლესობის წინაშე.

„23 სექტემბერს, სანამ ქალაქის დეპუტაცია წარუდგებოდა მის უმაღლესობას—განაცხადა ბ-ნმა ხატისოვმა—მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ცალკე აუდენციაზე მიმიწვია, რომელსაც მადლმოწყალების ხასიათი ჰქონდა თბილისის თვითმართველობისა, ქალაქთა კავშირისა საერთოდ და კერძოდ კავშირის განყოფილებისადმი კავკასიაში. მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ სრული ნდობა გამოსთქვა ჩვენი მოღვაწეობისადმი და აღნიშნა, რომ ჩვენს შრომას ხილხისა და მხედრობის სასარგებლოდ მუდამ მფარველობას გაუწევს და როცა საჭირო დარჩება, მისი უმაღლესობა ცალკე აუდენციაზე მიიღებს თქვენს მოურავს ქალაქისა და კავშირის საჭიროებათა მოსახსენებლად. ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს აგრეთვე გაუწყოთ, რომ მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ იმედი გამოსთქვა, რომ ქალაქი და კავშირი თავიანთ ძალღონეს კვლავაც არ დაიშურებენ ახალი სამსახურისათვის, როცა ამას გარემოება მოითხოვსო. აგრეთვე მისმა უმაღლესობამ მადლობა გამოსთქვა რომ თბილისის მცხოვრებნი აღტაცებით შეხვდნენ მას“.

შემდეგ კრება გადავიდა მორიგ საქმეებზე და გამგეობის მოხსენების თანახმად, „გამათლების“ საზოგადოებას აპატია 131 მ. 14 კ., რომელიც საზოგადოებას ვალად დასდებია წყლის ფასის ანგარიშში. შემდეგ კრებამ განიხილა მოხსენება კალაქის წყალსადენის გაუმჯობესობის შესახებ და, ინჟინრების ბ-ნი ვაწაძისა და ქურდიანის წინადადების თანახმად დაადგინა: 1) გადიდვას 80 ათას მანეთამდე დიზელის მანქანის შესაძენად საქაჩითურთ; 2) სანამ ქალაქი ამას შეიძენდეს, გამგეობამ განაგრძოს მოლაპარაკება რკინის გზის გამგეობასთან, რომ დროებით აქიროს ქალაქს ნავთის სადენის დიზელი; რკინის გზის გამგეობამ თუ შეიწყნარა ასეთი თხოვნა, იმ შემთხვევაში გადიდვას 20 ათასი მანეთი საქაჩის შესაძენად; 3) ეხლავე დაწყებულ იქმნას მუშაობა სათადარიგო აუზის გასაკეთებლად, რომელშიაც 300.000 ვედრა წყალი მოთავსდებოდეს და ამისათვის გადაიდოს 80 ათასი მანეთი; 4) ზემონაჩვენები ხარჯები დაიფაროს იმ სესხის ანგარიშიდან (400.000 მანეთი), რომლის აღება საბჭოს მიერ დადგენილია 1913 წლის 13 მაისს.

განხილულ იქმნა საკითხი ქალაქის დაყოფის შესახებ საარჩევნო რაიონებად: მიმდინარე წლის 15 ივნისს საბჭოს მსჯელობა ჰქონდა იმაზე, თუ რამდენ რაიონად დაიყოს თბილისი მომავალი 4 წლისათვის ხმოსნების ასარჩევად; ხმოსანნი პ. ა. გოთუა, ა. ს. ბაბოვი და თითოოროლა სხვანი ამტკიცებდნენ, რომ ქალაქი 12 რაიონად უნდა დაიყოსო; მ ი. დოლუხანოვი და ზოგიერთნი სხვანი იმ აზრის იყვნენ, რომ ხმოსნები მხოლოდ ერთ ადგილას იქმნან არჩეულიო; მაგრამ უმრავლესობამ დაადგინა, 7 რაიონად დაყოფილიყო ქალაქი. ეს დადგენილება

დასამტკიცებლად წარედგინა საქალაქო საქმეთა საკრებულოს. მაგრამ ამ უკანასკნელმა დადგენილება არ დაამტკიცა და თავისს მხრივ აზრი გამოსთქვა, რომ ხმოსნების ასარჩევად თბილისი დაიყოს 8 ნაწილადო. საკრებულო ამასთანავე პირდაპირ უთითებს მეორე და მესამე საპოლიციო ნაწილებზე, რომელნიც საბჭოს დადგენილებით ერთ საარჩევნო რაიონად არის შეერთებული, და ამტკიცებს, რომ ეს ნაწილები არსებითად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან და იქ ცალ-ცალკე უნდა მოხდეს ხმოსნების არჩევნებიო. საგნის განხილვამ ცხარე კამათი გამოიწვია. ქალაქის მოურავმა განმარტა, რომ როცა ასეთ საგანზე დავა ასტყდება, ქალაქის საბჭომ თუ არ მიიღო საკრებულოს შენიშვნები, მაშინ გუბერნატორმა, თანახმად კანონისა, მეფის ნაცვალს უნდა წარუდგინოს ორთავე დადგენილება—საბჭოსი და საკრებულოსი. მეფის ნაცვალი ან ერთ დადგენილებას დაამტკიცებს და ან მეორეს; მაგრამ, როგორც ეს მოხდა 1911 წელს, მას შეუძლიან დამოუკიდებელი სურვილი გამოსთქვას, მაგალითად, ქალაქი 12 რაიონად ანუ 10 რაიონად დაიყოსო. ამ თავისს სურვილს მეფის ნაცვალი მხოლოდ აცნობებს მეფეს და საქმე ამით გათავდებაო. თუ ამ შემთხვევაში საბჭო პირვანდელ თავისს დადგენილებას არ შეცვლის, ხმოსნების არჩევნები იმ შემთხვევაშიაც კი მოესწრება წლეულს, მეფის ნაცვალი თუ თავისის სურვილით დაჰყოფს ქალაქს საარჩევნო უბნებადაო. საბჭომ ისევ 15 ივნისის დადგენილება მიიღო, ე. ი. 7 საარჩევნო რაიონად დაიყოს ქალაქი. მაშინ ხმ. გოთუამ განაცხადა, რომ მე განსაკუთრებულ მოსაზრებას წარმოვადგენ ქალაქის 12 რაიონად დაყოფის შესახებო; ხოლო 1—2 ხმოსანმა განაცხადა, რომ ქალაქის დაუყოფლობის შესახებ წარმოვადგენთ განცხადებასო, ე. ი. ერთ ადგილას რომ მოხდეს არჩევნები.

დასასრულ კრებამ განიხილა მოხსენება ქალაქის უზრუნველყოფის შესახებ პირველ-საჭიროებათა სურსათის მხრივ და დაადგინა, რომ გამგეობა არ დაერიდოს არავითარ ხარჯს და განაგრძოს ფქვილისა, შეშისა, შაქრისა და სხ. შეძენა.

## რუსეთის ცხოვრება

თავ. შჩერბატოვის ნაცვლად დეპ. ხვოსტოვს ასახელებენ, რომელიც „ვეჩ. ვრემ.“ ცნობით ამ მოკლე ხანში დაუბრუნდება ადმინისტრატიულ მოღვაწეობას.

**შაქრის რეკვიზიცია.**

37 ვაგონ შაქარს რეკვიზიცია უყვეს. იგი ვინმე ლუბინსკის აღმოაჩნდა.

**„1171 სტატია“ და ებრაელები.**

ყველამ უწყის ებრაელთა შევიწროება მთელ დედამიწის ზურგზე, მათ თავისუფალი გასაქანი თითქმის არცერთ სახელმწიფოში არ აქვთ. ამის შესახებ პეტროგრადელ „რეჩ“-ში ლ. ლვოვი ეხება 1171 მუხლის მიერ გამოწვეულ უბედურებას ებრაელთა მიმართ. ამ მუხლის ძალით, როგორც ვიცით ებრაელთ ეკრძალებათ თავისუფალი ვაჭრობა, მოსახლეობა და ხელოსნობაც კი, ამ მუხლის წყალობითვე არა ერთის ებრაელის სავაჭრო და სხვა უძრავი ქონება შეიქმნა ამ ბოლო ხანს რეკვიზიციის მსხვერპლი. თუ ვინმე ხმის ამოღებას გაჰბედავდა მას სენატი სახელმწიფოდან სულ გაძევებას უწყვეტდა.

**სტუდენტების მობილიზაცია.**

ამ რამდენიმე დღის წინად სამხედრო მინისტრის ამხანაგის ბელიაევის თავმჯდომარეობით კრება მოჰხდა იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რომელ კატეგორიის სტუდენტები გაეწვიათ ჯარში. ამ კრებაზე ის აზრი გამოითქვა, რომ სტუდენტებს უნდა გაუბრთხილდეთ და ისე გავიწვიოთ რომ სამართლიანობა დარღვეულ არ იქმნესო. კრებამ სასურველად სცნო პირველ ორი კურსის სტუდენტების გაწვევა. გამოირკვა რომ ამ კატეგორიის სტუდენტები 12 ათასამდე გროვდება. ჯერჯერობით გაიწვევენ უმცროს სტუდენტებს 19 წლიდან მოყოლებულს.

**სესხის საქმე.** მინისტრი ბარკი, რომელიც საზღვარგარეთ იყო წასული რუსეთის სესხისთვის. ეხლა დეპეშით იტყობინება, რომ საქმე სასურველად დაბოლოვდაო.

**რუსეთის პრესა ბალკანეთის შესახებ.** რუსეთის გავლენიანი გაზეთები, აღნიშნავენ რა ბალკანეთზე მომხდარ ამბებს, დიდად უსაყვედურებენ თავიანთ დიპლომატებს.

ათინაში საჭირო იყო დიდი ენერგიული მუშაობა, მაგრამ სამწუხაროდ იქ მხოლოდ გერმანელები მოქმედობენ, ჩვენი დიპლომატები კი მაყურებლებად და გაფუჭებულ საქმის მსაჯულებად გამოდიოდნენო.

## რიგაში

რიგიდან მოსკოვში დაბრუნებული ინჟენერი გვიამბობს:

„მე ჩავედი რიგაში 9 სექტემბერს, ქალაქს მღელვარება ეტყობოდა, ელოდნენ გერმანელთა შემოსევას დვინსკისა და იკოშტადტიდან. სამხედრო პირები აჩქარებდნენ ევაკუაციას. მეორე დღეს ინგლის-საფრანგეთის ჯარის დასავლეთის ფრონტზე გამარჯვებამ დიდი გავლენა იქონია და დროებით მაინც დამშვიდდა აღელვებული ქალაქი.

მე იქ ჩემი მოვალეობა პარნათლად, დაუბრკოლებლად შევასრულე.

უკანასკნელ დღეებში ყველა ძვირფასი ნივთები გაზიდულ იქმნა რიგიდან. ზარები დიდი ხანია, რაც ჩამოხსნეს და გაიტანეს.

მხოლოდ ერთ-ერთ საყდარში დარჩა ერთი დიდი ზარა, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით უნდა დარჩეს და როცა მტერი შემოესევა ქალაქს, იმ ზარის ხმამ უნდა აცნობოს რიგის მცხოვრებთ მტრის შემოსევაო.

უკანასკნელ დღეებში, როდესაც მე გამოვედი რიგიდან, გერმანელი მფრინავები თავს დასტრიალებდნენ ქალაქს და ყუმბარებს უშენდნენ.

მფრინავთა მიზანი იყო, როგორმე გაეფუჭებინათ ადგილობრივი ტელეგრაფი.

როგორც ეტყობა გერმანელებს რიგაში უმავლთულო ტელეგრაფი ჰქონიათ.

მიუხედავად ამისა, რომ ჩვენი ტელეგრაფი ჩუმად ახალ ადგილში გადავიტანეთ. გერმანელებმა მაინც მიაგნეს და იქ დაუშინეს ყუმბარები.

რიგიდან ჩემს გამოსვლის წინად (მე წამოვედი იქიდან 21 სექტემბერს) ქალაქს დაეცა რამოდენიმე ჰაეროპლანი და ყუმბარებს წვიმასავით აყრიდნენ. ერთი ყუმბარა შუა ქალაქში გასქდა, რომელმაც 7 კაცი და რამოდენიმე სახლი იმსხვერპლა, რის მოწმეც მე გავხდი.

რამოდენიმე საათის შემდეგ კვლავ ჩამოაგდეს ყუმბარა, ყუმბარამ იმსხვერპლა ახალგაზრდი ქალი, რომელიც ფანჯარაზე გადმომდგარიყო.

პირველად ასეთი სურათები აუტანელი იყო ჩემთვის, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მივეჩვიე სასტიკ სანახაობას...

ყოველ დილას ზღვიდან ისმოდა სროლა 42 დიუმიანი ზარბაზნებისა, ერთხელ ისეთი საშინელი სროლა ასტყდა, რომ მთელი ქალაქი ზანზარებდა.

გარეგნული მდგომარეობა რიგისა უფრო რთულია, ვინემ მე წარმოდგენილი მქონდა.....

მე გამოვედი რიგიდან საღამოს 9 საათზე. ქუჩებში სიბნელე იყო გამეფებული, მცხოვრებნი აქა-იქ ქუჩებში დადიოდნენ და წყნარის ხმით საუბრობდნენ თავიანთ მომავალ უბედურებებზე.

მაღაზიები ყველგან დაკეტილი იყო. თეატრები არ მუშაობდნენ. პროჟექტორები მხოლოდ ცხრა საათამდი მოქმედობდნენ. სასწავლებლებს დიდი ხანია ევაკუაცია უყვეს. აგრეთვე ქარხნებსაც. ზოგიერთი მაღაზიები ღიაა, მაგრამ შიგ საქონელი არ არის. სახლების უმეტესი ნაწილი ცარიელია. დღეები გადის მოწყენილად, მოძრაობა ნაკლებია....

## პროვინცია

**ზ. ზუგდიდში.** ნერვიულ დროში, როცა მთელი დედა-მიწა შენძრეულა და გამხდარა აბობოქრებულ ზღვად, როცა უწარჩინებულეს სახელმწიფოთა და ერთა ბედ-იღბალი სასწორზეა დადებული და არავინ ვიცით, თუ რას გვიქადის ხვალინდელი დღე, ძნელად, თუ ვინმე მოუჯდება ძველ-ძველ სქელ წიგნებს... უმეტეს შემთხვევაში საზოგადოება ეწაფება თანამედროვე პერიოდულ გამოცემებს, ჰკითხულობს მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებს და კმაყოფილდება „ომის ამბებით“ და პოლიტიკურ მიმოხილვით. და რა კი ჩვენს სამკითხველოს, როგორც ყველა პროვინციის სამკითხველოებს, ჟურნალ-გაზეთები გვიან მოსდის ფოსტის საშუალებით, ის ერთი ხანია სრულიად არავის იზიდავს და მთელი დღე წარმოადგენს ერთსა და იგივე უსიცოცხლო სურათს: გრძელი მაგიდა ძველ ჟურნალ-გაზეთებით, ირგვლივ სკამები და შიგ—სრულიად არავინ...

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ადგილობრივი ხელოსნის, ძაძამიას, წყლის ქარხანა, რომელიც გაზეთებს იწერს გასასყიდად და ღებულობს კიდეც, სენაკიდან დღეღენების საშუალებით, დღევანდელ ნომერს დღესვე—ნაშუადღევს, გადიხრის მზე თუ არა, ხსენებულ ქარხანას აწყდება მრავალი ხალხი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ბ-ნი ძაძამიაც გაკადნიერდა.—არ გეგონოთ მარტო წყლის ვაჭარი, მე ლიტერატურულ საქმეშიაც მიდევს წილიო და ერთგვარ „დისციპლინასაც“ კი მოითხოვს საზოგადოებისაგან: მორიდებით და თითო-თითოდ შესვლას ქარხანაში, სკამზე არ-დაჯდომას, გაზეთის არ-გაშლას და არ-გადახედვას მის თვალწინ და კითხვა ხომ რა სახსენებელია!—ხანდისხან გაგვიწყრება კიდეც:—წადით, თქვენს შაურზე ვის ცალიან, ეხლა გაზეთს ვერ მოგცემთო და სხვა.

რომ ბ-ნი ძაძამიაც არ „შეწუხდეს“ გაზეთების ვაჭრობით და საზოგადოებაც არ გახდეს მისი დისციპლინის მსხვერპლი, მე მივაქცევდი ზუგდიდის წერა-კითხვის საზოგადოების და ბიბლიოთეკის გამგეობათა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საჭიროა მოეწყოს ჟურნალ-გაზეთების აგენტურა თვით საზოგადო სამკითხველოსთან.—ეს გარემოება ერთია და სამკითხველოს გამოაცოცხლებს, მეორე, მსურველთ საშუალებას მისცემს გაზეთის შეძენისას „უინციდენტოთ“ და მესამე—ღარიბ სამკითხველოსაც მცირე რასმე დაუტოვებს.

კაი.

**ხაშური** (ქართლი). როდესაც ხაშურის საზოგადოებას თვალყურს ადევნებთ, ასე გგონიათ, თითქოს ეს ხალხი ამ ქვეყანას მოშორებიაო. მართალია აქ არსებობს სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებანი, მაგრამ მათ მამათმთავრებს სალათას ძილისათვის მიუყვიათ ხელი. ავიღოთ სამკითხველო თუ რა მდგომარეობაშია იგი: რომ შეხვიდეთ ამ სამკითხველოში და მოითხოვოთ ჩვენი რომელიმე მწერლის წიგნი, ან ვერ იშოვით ან და დახეულ-დანგრეულს მოგაწოდებენ. აქ არ მოდის სრულიად ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და რაც მოდის ისიც არა სისტემატიურად. სატახტო ქალაქის გაზეთებს ხომ ვერ დაინახავთ გარდა ერთი გაზ. „რუს სლ.“ და ჟურ. „ოგანიოკ.“ სამკითხველოს ამითმა სიღატაკემ ჟურნალ-გაზეთების მხრივ ის შედეგი მოიტანა რომ მკითხველთა რიცხვი თან და თან კლებულობს. აქ ხშირად იმართებოდა წარმოდგენები სცენის მოყვარეთა სასარგებლოდ და ერთხელაც არ მოსვლიათ აქაურ სამკითხველოს გამგეობას ის აზრი, რომ გაემართად წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ. ეხლა წარმოდგენები თითქმის სულ შესწყვიტეს. ამ უკანასკნელ ხანებში კულტურული გასართობების მაგიერ, გავრცელდა ეგრედ წოდებული „ლატარია“, რომელსაც აქაური ინტელიგენცია და არა ინტელიგენცია ჰინჰველასავით ესევა. ამ „ლატარიამ“ უპირველესი ადგილი დაიჭირა ხაშურის საზოგადოების ცხოვრებაში. თითქმის ყოველ ღამე იმართება ხოლმე ეს ლატარია. ჩააგდებს რომელიმე პირი ლატარიაში დამტვრეულ საათს ან რაიმე მოძულებულ ნივთსა, ამ ბოლო დროს ძროხაც კი გაჰხადეს ლატარიის საგნად. დაიარებიან ქალიშვილები კარანდაშით და ქაღალდით ხელში ქუჩიდან ქუჩაზე და გინდა თუ არა ხელი მაინც უნდა მოაწეროო. ასე ჰკრეფენ ფულს, რომლის რიცხვი 100 მანეთამდისაც კი ადის ხოლმე იმ დროს როდესაც ლატარიაში ჩაგდებული ნივთი 5—6 მან. მეტი არა ღირს. ლატარიას შემდეგ იმართება ბანქოს თამაში, ლოტო, ნარდი. გამოჩენილ როლებს ასეთ ლატარიებში თამაშობენ აქაური სცენის მოყვარეები. ერთი სიტყვით, დიდი წარმატება ეტყობათ ხაშურელებს. ვინ იცის, ვინ რა შურით არ გადმოგვხედავს: ჩვენისთანა ბედნიერი განა არის კიდევ ერი?—

ინ—ჯანი.

## დეპეშები

**თეირანი**, 27 ენკ. ბაღდადიდან ინგლისელთა ჯარების მოახლოვებაზე გერმანელთა აგიტატორებმა კილოს უკლეს და ისე რიგად აღარ სცდილობენ ავღანისტანში შესვლას მაჰმადიანთა ასამხედრებლად.

**ჰავრი**, 27 ენკ. ბელგიელთა უწყება. დილით მკაცრი საარტილერიო ბრძოლა იყო ბეერსტბელკოტთან. დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** „ტანს“ატყობინებენ ალექსანდრიიდან, რომ იერუსალიმში ფრანგ-ინგლისელ-რუს-იტალიელთა მონასტრები თავლებად გადააკეთეს. სამარის ღელე და ელეონორის მთა ჯართა სავარჯიშო ასპარეზად გაჰხადეს, ხოლო გოლგოთაზე ოსმალთა ჯარისკაცებს გერმანელი აფიცრები სროლას ასწავლიანო.

**ქაირო**, 27 ენკ. ბრიტანიის ჯართა უფროსის ბრძანებით ბულგარელებმა სწრაფად უნდა წარადგინონ თავ-თავიანთი დოკუმენტები, ვინც არ წარადგენს, მას ციხით ემუქრებიან.

**კოპენჰაგენი**, 27 ენკ. ინგლისელთა წყალქვეშამ დაჰღუპა გერმანელების გემი „ლიულეა“, 11 მეზღვაური გადარჩა.

**ათინა**, 27 ენკ. ზაიმის კაბინეთი ხვალ პარლამენტს წარუდგენს თავის მოქმედების პროგრამას. მთავრობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს და მისი სიმპატია იქით გადიხრება, ვისაც საბერძნეთის კეთილდღეობა დააინტერესებსო.

**ცეტინიე**, 26 ენკ. ავსტრიელთა საზოგადო იერიში უკვე დაიწყო. იგინი სცდილობდნენ დვინაზე გადასვლას და ენერგიულად ეკვეთნენ შავმთიელთა ჯარებს. ამასთანავე ერთად გრეხოვსაც შეუტიეს, მაგრამ მოგერებულ იქმნენ.

**ლონდონი**, 27 ენკ. დაიღუპა ბერძენთა გემი „დიმიტრიოსი“ და ინგლისელთა გემი „ნიუ-კესტელი“. ეკიპაჟი გადარჩა.

**ათინა**, 25 ენკ. ავსტრო-გერმანელთა საზოგადო იერიშის შესახებ გაზეთი „პატრისი“ ამბობს: „საბერძნეთსა ჰსურს სერბიის გამარჯვება, ვინაიდან მისი დაცემა უქმდის ბალკანეთში ბულგარ... ჰეგემონიის განმტკიცებასაო“.

... ავსტრიელები ენერგიულად ამაგრებენ ყოველ პოზიციას ... იზონცოზე 27 და 28 ენკ. საარტილე... რიო სროლის შემდეგ გამოემართნენ იერიშით პლეცოს ბასეინისაკენ, მაგრ... ლაშქრობა მათი შეჩერებულ იქმნა.

**ბუქარესტი**, 27 ენკ. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალთა პარლამენტის გახსნის დროს ქალილ-ბეიმ წარმოსთქვა ძლიერი სიტყვა, სადაც ის აზრი გაატარა, რომ ოსმალთათვის ომი სახელით მიდის და მალე დაარსდება ძლიერი ს... ხელმწიფო ჩრდილო ზღვიდან მოყოლებული ინდოეთის ოკეანემდე ოთხთა კავშირის საწინააღმდეგოდაო.

ბულგარეთიდან იუწყებიან, რომ ... ნაის ნავთსადგურები ნაღმებით ... შეკრულიო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გასული წლის მარიობისთვიდან აღარაფერი ცნობა გვაქვს ისმაილ პორფირეს ძე ბარბაქაძიდან, რომელიც მსახურებდა რუსის მოქმედ ჯარის 10 არმიის კორპუსში, 41 ქვეითა კოზლოვის პოლკის პირველ როტაში. იგი ჩვენთვის უგზო-უკვლოდ დაკარგა და მისმა ჰკირისუფლებმა არ ... ცით ზემოხსენებული ისმაილ პორფირის ძე ბარბაქაძე ბრძოლის ველზე დაიღუპა, მოკვდა თუ ტყვედ ჩაუვარდა მტერს ხელში. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ ყველა მათ, ვინც კი რამე იცის ამ ... რის კაცის შესახებ, შეგვატყობინონ ... დევი მისამართით:

Тифлисъ. Среднее Культур. техническое училище Антонію Барбака[дзе]

ანტონი პ. ბარბაქაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ... |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სა... |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სა... |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დღ... |
| | ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დღ... |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დღ... |
| | „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | სა... |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ... |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სა... |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ... |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სა... |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სა... |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ... |

**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთ... შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილ... გნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ... დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტან... სახლში. (წ.—41)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ, მაილოვის-შვით**“, სა... წველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხ... ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლ... გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუს... და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან